

2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით, შპს ტელეიმედი, როგორც საქართველოში ავტორიზებული საერთო ეროვნული მაუწყებელი, განათავსებს ფასიან და უფასო წინასაარჩევნო რეკლამას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1. ფასიანი/უფასო წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების საერთო წესები:

ა) წინასაარჩევნო პერიოდში ფასიანი და უფასო წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის განთავსება დასაშვებია კენჭისყრამდე 50-ე დღიდან.

ბ) პოლიტიკური რეკლამის კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“. ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი. აღნიშნული მოთხოვნების უზრუნველყოფა რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა.

გ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 186-ე მუხლის მე-18 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შემწყობი რეკლამის ელემენტებს, მათ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას.“

დ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 186-ე მუხლის მე-19 ნაწილის მიხედვით, „პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 10%-ს. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 50%-ს. ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას.“

ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესები:

ა) შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რეგულაციები - საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ტელე- ან რადიოკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს;“ („შპს ტელეიმედის“ დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობა შეადგენს 24 საათს.)

ბ) ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად, შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა განთავსებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე შპს ტელეიმედის ფაქტობრივ მისამართზე (ქ. თბილისი, ლუბლიანას N5) უნდა წარმოადგინოს დისკზე ჩაწერილი ვიდეორგოლი (ფორმატი: FULL HD; ზომები: 1920/1080), ხოლო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის საჭირო

ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა დაუკავშირდეს შპს ტელეიმედის იურიდიულ სამსახურს (ტელ: 599 266268; ელ.ფოსტა: n.pashalishvili@imedi.ge). საარჩევნო სუბიექტის ნომერი და სახელწოდება ვიზუალურად არ უნდა ემთხვეოდეს შპს ტელეიმედის ლოგოს განთავსების ადგილს. ვიდეორგოლისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა ფაქტობრივ მისამართზე უნდა მოხდეს სამუშაო დღესა და საათებში. საარჩევნო სუბიექტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის რეგისტრაციაში გატარების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი (განკარგულება).

2. უფასო წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესები:

ა) შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რეგულაციები - საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 186-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საერთო საეთერო მაუწყებლობის განმანორციელებელი ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია „საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან თავის ეთერში ყოველ 3 საათში 7,5 წუთი გამოყოფს წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოფს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის.“

ბ) უფასო პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად, შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა განთავსებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე შპს ტელეიმედის ფაქტობრივ მისამართზე (ქ. თბილისი, ლუბლიანას N5) უნდა მომართოს ოფიციალური წერილით და დისკზე ჩაწერილი ვიდეორგოლით (ფორმატი: FULL HD; ზომები: 1920/1080). წერილში აღნიშნული უნდა იყოს მოთხოვნილი განთავსების პერიოდი და ვიდეორგოლის/ვიდეორგოლების ქრონომეტრაჟი. საარჩევნო სუბიექტის ნომერი და სახელწოდება ვიზუალურად არ უნდა ემთხვეოდეს შპს ტელეიმედის ლოგოს. ვიდეორგოლისა და წერილის წარმოდგენა ფაქტობრივ მისამართზე უნდა მოხდეს სამუშაო დღესა და საათებში. საარჩევნო სუბიექტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის რეგისტრაციაში გატარების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი (განკარგულება).